



საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის
მდივნის
განკარგულება №02-752/2018

საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებისათვის ა.(ა).ი.პ.

„აპრიორი“ დამკვირვებლების რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე

ქ. თბილისი

2018 წელი 20 ნოემბერი

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-15 მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის, 78-ე მუხლის მე-12 პუნქტისა და ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის ა.(ა).ი.პ. „აპრიორი“ ხელმძღვანელის ბესიკი შენგელიას მიერ წარმოდგენილი 2018 წლის 20 ნოემბრის განცხადების (ცესკოში რეგისტრაციის №6101) შესაბამისად, ვადგენ:

მუხლი 1. გაუქმდეთ რეგისტრაცია საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებისათვის რეგისტრირებული ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის ა.(ა).ი.პ. „აპრიორი“ დამკვირვებლებს დანართის შესაბამისად.

მუხლი 2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მისი გამოცემიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

კომისიის მდივანი

გიორგი ჯავახიშვილი